პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 201 (5231)

1974 წ. 10 ოქტომბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# პრობლემები და ნერვები




„ნერვები, ნერვები"! — ხშირად იცის თქმა დიდოსტატმა ს. ფლორმა, როცა მეტოქენი ზედმეტად ღელავენ, გულთან ახლოს მიაქვთ ბრძოლის პერიპეტიები. თამაშში მოჭადრაკეს ხშირად რთული პრობლემების გადაჭრა უხდება. სწორედ აქაა შემოქმედებითი წვა. ამიტომ ყოველ ახალ გეგმას, მანევრსა თუ კომბინაციას მოჭადრაკე დიდი თრთოლვითა და მღელვარებით იწყებს.

ამ თვალსაზრისით საინტერესო იყო X ტური.

ე. ფათალიბეკოვამ (მოსკოვი) ჩემპიონატი კარგად დაიწყო და ამიტომ ლაღად თამაშობს. ფსიქოლოგიური უპირატესობა ცოტას როდი ნიშნავს. რ. ბილუნოვამ (მოსკოვის ოლქი) ცუდად აიღო სტარტი. ამიტომ, როცა მისი მხედარი ფათალიბეკოვას ბანაკში აღმოჩნდა დატყვევებული, იგი ძალიან აღელდა.

ფათალიბეკოვას პრობლემა გაუჩნდა: როგორ მოეგო მეტოქის „დატყვევებული" მხედარი. მან დიდხანს იფიქრა და თამაშის გამარტივების გზით მეფით მხედართან მისვლა გადაწყვიტა. ბილუნოვამ, როგორც ჩანს, ნერვები ვერ დაიოკა და მეტოქეს აჰყვა. მერე იგი იძულებული შეიქნა ორ პაიკში მხედარი დაეთმო და უიმედო ენდშპილს შერიგებოდა. პარტია გადაიდო. ფათალიბეკოვას გამარჯვება ახლა მხოლოდ ტექნიკის საქმეა.

უფრო მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა მ. რანიკუ (ტალინი) — ტ. კოსტინას (მინსკი) და მ. ჩიბურდანიძე — ც. კობაიძის (ორივე — თბილისი) შეხვედრებში. ეს პარტიები ერთმანეთს ჰგავდა სტრატეგიული თამაშის თვალსაზრისით.

გამოცდილმა რანიკუმ ლაზიერის ფრთაზე ჭარბი პოზიციური უპირატესობა მიიღო. კოსტინა არ შეეპუა მეტოქეს, არ შეუშინდა სახიფათო მუქარას. მან გაბედულად შეუტია რანიკუს მეფის ფრთას და იერიშში უკლებლივ ყველა ფიგურა ჩააბა. უაღრესად დაძაბული ბრძოლა იმ დღეს დაუმთავრებელი დარჩა. პარტიას ხუთი საათი არ ეყო.

დარბაისლური სტილით თამაშობს საქართველოს ჩემპიონი კობაიძე. ამიტომ, როცა ჩიბურდანიძესთან პარტიაში როქი სხვადასხვა მხარეს გაკეთდა, საჭირო იყო მეტოქის გვირგვინოსანზე ენერგიული შეტევა. ასეთ შემთხვევაში პრობლემა ნათელია, საჭიროა მტკიცე ნერვები და დაუგვიანებელი იერიში.

ჩიბურდანიძეს მღელვარება არ ეტყობოდა. იგი კარგად ხედავდა მიზანს, პაიკებს ლაზიერი და ეტლი ამოუყენა და შავ მეფეს დაემუქრა. კობაიძეც ასევე უნდა მოქცეულიყო, მაგრამ მისი მანევრები ხელოვნური იყო, დრო ტყუილად იკარგებოდა. სანამ კობაიძე დაემუქრებოდა, ნორჩმა მოჭადრაკემ საიერიშო ხაზი გახსნა და... 28-ე სვლაზე მეტოქეს ბრძოლაზე ხელი აალებინა.

ლ. მულენკომ (ზაპოროჟიე) ტ. მოროზოვასთან (ლვოვი) პარტიაში მტკიცე ხასიათი გამოავლინა. ასეთ მძიმე პოზიციაში მის ადგილზე ბევრი ფარხმალს დაყრიდა, მაგრამ მულენკო გაბედულად შეეჭიდა სიძნელეებს და ბოლოს მხოლოდ პაიკი დაკარგა. გადადებულ პარტიაში მას ყაიმის შანსი აქვს.

ახალგაზრდა ა. გრინფელდს (კალინინგრადი) ნ. მედიანიკოვასთან (მოსკოვი) შეხვედრაში შეეძლო წარმატების მოპოვება. საჭირო იყო მხოლოდ უპირატესობის თანდათან ხორცშესხმა. მაგრამ იგი აჩქარდა მოახლოებული გამარჯვების გამო. გრინფელდის ერთ უზუსტო სვლას მედიანიკოვამ, რომელიც აუღელვებელი ხასიათით გამოირჩევა, გონებამახვილური დაცვითი მანევრით უპასუხა. ეს გრინფელდისთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ იგი ორიოდე სვლაში დაუზავდა მეტოქეს.

წარუმატებლობა ძალიან აღელვებს თ. ხუგაშვილს. მას ასე ცუდად არასდროს უთამაშია, როგორც ამ ჩემპიონატში. მ. სამულთან (ტალინი) ხუგაშვილმა პაიკებით მძაფრი იერიში წამოიწყო. აშკარად ჩანდა, რომ თამარს ლაშქრობის სათანადოდ მოსამზადებლად მოთმინება არ ჰყოფნიდა. ამიტომ პაიკების შეხლა-შემოხლის შემდეგ მისი მეფის პოზიცია დაუცველი აღმოჩნდა. სამულმა მოიგო სამი პაიკი და პარტიაც.

დამთავრდა ტ. ფომინა (ტალინი) — ა. კისლოვას (ომსკი) შეხვედრაც. მოიგო ფომინამ. რთულ და მწვავე პოზიციაში გადაიდო ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — მ. შულის (ლვოვი) პარტია. ე. ბახრეხი (მოსკოვი) თ. გოლოვეისთან (მინსკი) ზედმეტ პაიკს ინარჩუნებს.

10 ტურის შემდეგ ე. ფათალიბეკოვას 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, მ. რანიკუს — 6,5 (2), მ. ჩიბურდანიძეს, ტ. ფომინას — 5-5 (1-1), მ. შულს, მ. სამულს — 4,5-4,5 (2-2), ც. კობაიძეს — 4,5 (1).

თ. გიორგაძე.

[illegible]

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ახლახან დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ძალოსანთა ნაკრების შემადგენლობაში შეყვანილი იყო 28 წლის რიგელი არმიელი ვ. ანიკინი (მძიმე წონა). ნაკრების ხელმძღვანელობამ ბოლო მომენტში ერთგვარი უნდობლობა გამოიჩინა მის მიმართ და იგი ფიცარნაგზე არ გამოიყვანა.

„გაგულისებულმა" ანიკინმა ჯავრი იყარა შინ, როცა რიგაში გამართულ შეჯიბრებაში სამი საკავშირო რეკორდი დაამყარა. მან ჯერ 10 წლის წინათ ა. ვახონინის მიერ დამყარებული საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა ატაცში და 111,5 კგ დაძლია, რაც ნახევარი კილოგრამით მეტია უწინდელზე, შემდეგ აკვრაში გ. ჩეტინის საკავშირო რეკორდს შეუტია და აქაც ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა იგი — 145,5 კგ. ორჭიდის ჯამში კი 255 კგ (110+145) დაგროვებით მან 2,5 კილოგრამით გადააჭარბა სსრ კავშირის რეკორდისთვის დამტკიცებულ საწყის ნორმატივს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზუსტად ასეთივე შედეგით გაიმარჯვა მანილაში ბულგარელმა ათლეტმა ა. კიროვმა. იქ რომ ანიკინსაც ეასპარეზა, გამარჯვებულს ძალოსანთა პირადი წონა დაასახელებდა.



● მანილა, 8 ოქტომბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ დაწინაურდა დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი, რომელსაც 3 ტურის შემდეგ 2,5 ქულა დაუგროვდა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან საბჭოთა დიდოსტატები ტ. პეტროსიანი და ე. ვასიუკოვი, აგრეთვე, ახალგაზრდა იუგოსლაველი დიდოსტატი ლ. ლიუბოევიჩი. გადადებული პარტიების დამთავრებისას ლარსენმა დაამარცხა აზიაში პირველი საერთაშორისო დიდოსტატი, ფილიპინელი ე. ტორე. პეტროსიანი დაუზავდა ლ. პორტიშს (უნგრეთი), ხოლო ვასიუკოვმა ფილიპინელ რ. ნარანიას სძლია. ბრძოლა მხოლოდ ახლა ჩაღდება, წინ კიდევ 12 ტურია.

# სიურპრიზები, სიურპრიზები

ტაშკენტი, 8 ოქტომბერი. ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში სენსაციების დრო დადგა. 16 წლის მოსკოველმა ნ. ჩმირიოვამ ქვეჯგუფში ხუთივე მეტოქეს სძლია, თუმცა შარშანდელ რანგთა ტაბელში მას მხოლოდ მე-19 ნომერი მიაკუთვნეს. ჩმირიოვას ძლეულთა შორის არიან ქვეყნის მეხუთე ჩოგანი, მოსკოველი ე. გრანატუროვა და მეექვსე ჩოგანი — ბაქოელი ე. ბირიუკოვა.

ჩმირიოვასთან ერთად რვა ჩოგბურთელის კომპანიაში, რომლებიც მედლებისთვის იბრძოლებენ, მოხვდნენ, აგრეთვე, მ. კროშინა (დონეცკი), გ. ბაკშეევა (კიევი), ტ. პარმასი და ლ. ზინკევიჩი (ტალინი), გრანატუროვა, სიურპრიზების „თანაავტორი", ალმაათელი ლ. კარპოვა, რომელსაც შარშანდელი კლასიფიკაციით მე-14 ნომერი აქვს, და № 23, 18 წლის ლიეპაიელი ჰ. შევჩენკო.

საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი დაკარგეს ცნობილმა ჩოგბურთელებმა — სსრ კავშირის მესამე ჩოგანმა, მოსკოველმა მ. ჩუვირინამ, ბირიუკოვამ, თბილისელმა ა. ივანოვამ, მოსკოველმა ე. იზოპაიტისმა.

ვაჟთა ქვეჯგუფებში ლიდერობენ თბილისელები ა. მეტრეველი და თ. კაკულია. მაგრამ დიდად საქებია ნორჩი თბილისელი ჩოგბურთელი გ. ელერდაშვილი, რომელმაც მოქნილი ტაქტიკა და კარგი ტექნიკური მომზადება გამოავლინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სპორტული ჟინი. ისეთ გამოცდილ მეტოქესთანაც კი, როგორიც მოსკოველი ე. ბობოედოვია, ელერდაშვილმა პირველი ხელის წაგების შემდეგ დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა, მაგრამ გამოცდილებამ და ასაკმა მაინც თავისი გაიტანა. ამ მატჩში ხუთი პარტია გათამაშდა.

ჭადრაკი

# რეპერტუარში მეფის გამბიტიც შედის

ოდესაში მიმდინარეობს სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 42-ე ჩემპიონატის I ლიგის ტურნირი. შეჯიბრებაში 18 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობს. როგორც ვიუწყებოდით, ამ ტურნირში თბილისელ დიდოსტატ ე. გუფელდსაც უნდა ეთამაშა, თუ რომელიმე მონაწილე დააკლდებოდა, მაგრამ სათამაშოდ ყველამ მოიყარა თავი.

I ტურის სენსაცია იყო ახალგაზრდა მ. დვორეცკის გამარჯვება დიდოსტატ ვ. სმისლოვთან შეხვედრაში. დ. ბრონშტეინმა (სამივე — მოსკოვი) მოუგო ვ. ტუკმაკოვს (ოდესა), ი. ბალაშოვმა (მოსკოვი) — ჯ. ჟურავლიოვს (კალინინგრადი), ვ. კუპრეიჩიკმა (მინსკი) — ო. ავერკინს (სვერდლოვსკი). ყაიმით დამთავრდა პარტიები: მ. პოდგაეცი (ოდესა) — მ. რაშკოვსკი (კურგანი), კ. ლერნერი — ლ. ალბურტი (ორივე — ოდესა). დანარჩენი პარტიები გადაიდო.

II ტური მშვიდობიანად წარიმართა. ყაიმზე შეთანხმდნენ: ვ. ცეშკოვსკი (ომსკი) — პოდგაეცი, რაშკოვსკი — ბალაშოვი, ჟურავლიოვი — ი. კლოვანი (რიგა), კუპრეიჩიკი — ბრონშტეინი, ტუკმაკოვი — ლერნერი, ი. რაზუვაევი (მოსკოვი) — დვორეცკი და ა. ბელიავსკი (ლვოვი) — სმისლოვი.

ო. რომანიშინმა (ლვოვი) მოუგო ავერკინს. გადაიდო ალბურტ — ვ. სავონის (ხარკოვი) პარტია პირველისთვის მოსაგებ პოზიციაში.

III ტურში სმისლოვმა ახალგაზრდა თანაქალაქელ რაზუვაევს რთული სადებიუტო ამოცანები დაუსახა სიცილიურ დაცვაში. რაზუვაევმა ვერ დაძლია სიძნელეები, უარესი ენდშპილი მიიღო. სმისლოვმა ეფექტური ტაქტიკური დარტყმით გაიმარჯვა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ბალაშოვ — ცეშკოვსკის შეხვედრამ, რომელშიც მოსკოველმა დიდოსტატმა მივიწყებული მეფის გამბიტი გამოიყენა. ცეშკოვსკიმ ფხიზლად მოიგერია მუქარა და პარტია ყაიმით დამთავრდა.

ასევე ზავით დასრულდა შეხვედრები: ავერკინი — ჟურავლიოვი, დვორეცკი — ალბურტი, სავონი — ტუკმაკოვი, ბრონშტეინი — რომანიშინი.

ორი პარტია გადაიდო: ლერნერს უპირატესობა აქვს კუპრეიჩიკთან, ბელიავსკის — პოდგაეცთან.

# შარი რასისტებს!

დელი, 7 ოქტომბერი. ინდოელი ჩოგბურთელები არავითარ ვითარებაში არ ითამაშებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდთან დევისის თასის გათამაშების ფინალში. ეს დღეს გამოაცხადა ინდოეთის ჩოგბურთის ასოციაციის მდივანმა რ. კ. კხანამ. „ჩვენი ქვეყანა გადაჭრით ილაშქრებს აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმი ნერგავს", — ხაზგასმით აღნიშნა მან. „ასოციაციის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ინდოეთის გუნდი არ ითამაშებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელებთან ამ ქვეყნის, ან აფრიკის რომელიმე სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს კორტებზე, სავსებით შეესაბამება რასიზმის დაგმობის პოლიტიკას, რასაც ინდოეთის სახელმწიფო ატარებს", — მიუთითა რ. კ. კხანამ.

[illegible]

ჭადრაკი

# ბობი ფიშერი უკმაყოფილოა

ნიუ იორკი, 8 ოქტომბერი. იმ დროს, როცა მთელი მსოფლიოს ჭადრაკის მოყვარულები უდიდესი ინტერესით ადევნებენ თვალყურს მოსკოვში მიმდინარე მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩს, აქ კვლავ გაახსენა ხალხს თავი ბობი ფიშერმა. როგორც ცნობილია, 29 ივნისს ფიშერმა უარი თქვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე მას შემდეგ, რაც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდე) უარყო მისი მოთხოვნა პრეტენდენტთან მატჩის წესების შეცვლის შესახებ.

გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსის" ცნობით, „განდეგილი" ფიშერი, რომელიც ორ წელიწადზე მეტია საჯაროდ აღარ თამაშობს ჭადრაკს, კვლავ განაწყენებულია. ბობი თავს ესხმის ყველას, ვინც მისი მოთხოვნების გაკრიტიკება გაბედა. კერძოდ, ამას მოწმობს ფიშერის თანხმობით გამოქვეყნებული წერილი მისი ძველი თაყვანისმცემლის, ჟურნალ „ჩეს ლაიფ ენდ რევიუს" მიმომხილველ ლ. ევანსისადმი. „რა სისულელეა!" — აცხადებს ბობი კეთილისმსურველის მიერ გამოთქმული იმ მოსაზრების გამო, რომ მსოფლიო ჩემპიონის მოთხოვნები, მეტი რომ არა ვთქვათ, უსამართლოა.

„ნიუ იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი გ. ტომპსონი, რომელიც ამ წერილს კომენტარს უკეთებს, აღნიშნავს: ფიშერის ცდებმა, რომ თავს მოახვიოს სხვებს, უფრო სწორად, უკარნახოს მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე მატჩის პირობები, ბევრ ცნობილ ოსტატში სრულიად გარკვეული, ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. გ. ტომპსონს მოჰყავს დანიელი დიდოსტატის ბ. ლარსენის სიტყვები. ლარსენი ფიშერის მოთხოვნებს აკრიტიკებს და ამბობს: „ჭადრაკის განვითარება ერთ პერსონაზე არ არის დამოკიდებული. თუ მას (ფიშერს) თამაში არ სურს, იგი თავისუფალია არჩევანში. შეუძლია მონაწილეობა არ მიიღოს საჭადრაკო ჩემპიონატში. თავის მხრივ ყველა თავისუფალია იმაში, რომ ამ გადაწყვეტილების მიზეზებს მიხვდეს".

დიდოსტატმა რ. ბირნმა (აშშ) აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ფიშერის განცხადება მხოლოდ თავისებური კვამლის საბურველია. „ჩემი აზრით, ეს შიშია, — თქვა რ. ბირნმა. — ბობის ურჩევნია დაუმარცხებლად დატოვოს ჭადრაკი, ვიდრე რისკი გასწიოს დამარცხების შესაძლებლობის გამო".

ნ. კურდიუმოვი.

(„პრავდის" საკ. კორ.).

ჭადრაკი

# კანადელი პროფესიონალების დამარცხება

პრაღა, 8 ოქტომბერი. სსრ კავშირში „სერიის" მატჩების დამთავრების შემდეგ აქ ჩამოვიდა ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის პროფესიული ლიგის მოთამაშეთაგან შემდგარი გუნდი „კანადა-74". დღეს სტუმრები ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს.

შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მასპინძლებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. ისინი აშკარად სჯობდნენ მრისხანე მეტოქეს და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 3:1 (2:0, 0:1, 1:0).

ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა ბუბლამ, მერე კი, მე-10 წუთზე, ჰლინკამ მეორე შაიბა მოათავსა კანადელთა კარში. მეორე პერიოდში უებსტერმა შეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება, მაგრამ დასკვნით პერიოდში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა მესამედ აიღო სტუმართა კარი.

# მოხალისენი სტარტზე

ჩოხატაურში ჩატარდა რაიონული შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებითს სპორტში. ასპარეზობაში მოხალისეთა სახანძრო რაზმები მონაწილეობდნენ.

საწარმო-დაწესებულებათა გუნდების შეჯიბრება ჩოხატაურის ჩაის № 1 ფაბრიკის რაზმეულმა მოიგო. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მეხანძრეთა შორის ყველას აჯობა სანერგე მეურნეობის გუნდმა.

დ. ზურგენიძე.

(ჩვენი კორ.).

ჩოხატაური.

# „ჩიჩიქოვი“ ჩადის მარნეულში

## სიყალბეზე აგებული მუშაობა

## უქნარა მესვეურები

## საიდან მოდიან ასეთი „მუშაკები“?

## აბონემენტები ბრალს ზღებენ

„ტყუილსაც შეუძლია გაიმარჯვოს, მაგრამ ამ გამარჯვებას მარტო ერთი დღის მანძილი აქვს“ — ეს სიტყვები უნებლიეთ გაგვახსენდა, როცა ერთი უცნაური შემთხვევის მოწმენი გავხდით. უცნაური, იმიტომ ვამბობთ, რომ იშვიათად მოიპოვებიან ადამიანები, რომლებსაც სინდისის ქენჯნის გარეშე, ხელაღებით შეუძლიათ უარყონ ყველაფერი — ნათქვამიცა და ნამოქმედარიც. უარყონ, თუკი ისინი აქტით არავის გაუფორმებია და, როგორც საბრალდებო დასკვნაზე, ხელი არავის მოუწერია. ასეთი კაცი შეიძლება სარკეშიც ჩაიხედოს და შემოგედავოს, ეს მე არა ვარო.

მარნეულის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ნადირაძემ ასეთი კაცის რეპუტაცია ჯერ კიდევ ამას წინათ გამართულ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის კოლეგიის სხდომაზე მოიხვეჭა — კატეგორიულად უარყო დადგენილების პროექტში მოყვანილი ფაქტები, აქაოდა, რაიონში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა დუღს და გადმოდუღს, შემმოწმებლებმა კი ცილი დამწამეს, დასკვნები სინამდვილეს არ შეეფერებაო. კოლეგიის წევრები დააეჭვა ამ განცხადებამ, მით უმეტეს, რომ ნადირაძეს მისმა კოლეგებმა, რაიონის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების მესვეურებმაც აუბეს მხარი. ასეთ ვითარებაში კოლეგიამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო: საკითხი გადადო იმ წინადადებით, რომ ფაქტების საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ მოდავე მხარეებიდან დამნაშავე მკაცრად დასჯილიყო. ბარემ აქვე ვიტყვით: დადგენილების პროექტში რეალურად იყო შეფასებული რაიონში შექმნილი ვითარება და, ცხადია, დასკვნებიც ლოგიკური გახლდათ.

კოლეგიიდან რაიონში დაბრუნებისთანავე ნადირაძემ პირველ ყოვლისა იმ 2500 კაცის საბუთების შეგროვება დაიწყო, რომლებმაც თითქოს მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამართულ პირველი ეტაპის შეჯიბრებებში იასპარეზეს. ეს დოკუმენტი რესპუბლიკის სპორტკომიტეტში გაეგზავნათ ნადირაძის ხელმოწერით და მთავარი ახლა მისი გამართლება იყო. კომიტეტის თავმჯდომარემ ყველაზე უკეთ იცოდა, რომ რაიონში საერთოდ არ ჩატარებულა ასეთი შეჯიბრება (ეს მან შემდეგ აღიარა კიდეც), მაგრამ უკან ხომ არ დაიხევდა. ადგა და ჩიჩიკოვივით სოფელ-სოფელ დაიწყო სიარული მკვდარი სულების შესაგროვებლად. ხოლო, თუ რა ხერხებითა და საშუალებებით მიაღწია მან სანადელს და როგორ მოჰყვა ერთ დანაშაულს მეორე, ეს თვით ფაქტებიდანაც კარგად ჩანს.

მაშ ასე, კოლეგიის სხდომის ორიოდე საათის შემდეგ ნადირაძე მარნეულის სკოლა-ინტერნატშია. მას ხელში უჭირავს ცნობა, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ მშდ კომპლექსის მრავალჭიდში შეჯიბრების პირველ ეტაპზე 150 მოსწავლე გამოდიოდა, 180-მა კი ნორმატივები ჩააბარა. სიყალბეს, არც დაფიქრებულან, ისე მოაწერეს ხელი ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელმა მ. ჰასანოვმა და სასწავლო ნაწილის გამგემ აღმზრდელობით მუშაობაში ნ. ხასმამედოვმა. ამ დათვური სამსახურის გამწევი პედაგოგები, რომლებიც ალბათ თავის მხრივ აღტაცებას ვერ ფარავდნენ, რომ რაიონის სპორტის „თავკაცმა“ ასე ერთი ხელის მოსმით მოამზადა მშდ კომპლექსის 180 ნიშნოსანი, შემდეგ კომისიას ასეთ განმარტებას აძლევენ: მსგავსი ღონისძიება საერთოდ არ ჩაგვიტარებია, უბრალოდ, თავმჯდომარეს გავუწიეთ ხათრიო (?!).

ყალბი აღმოჩნდა მარნეულის სანერგე მეურნეობიდან მიღებული ცნობაც და მასში მოყვანილი ფაქტებიც. ამ საბუთის თანახმად, სარბიელზე 250 კაცი გამოსულა და 40-ს მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანი დაუმსახურებია.

მარნეულის კარიერების სამმართველოში კი გაოცებისგან ხელები გაასავსავეს, როცა თავიანთს შტამპიან ქაღალდზე აღბეჭდილ საოცრებას გაეცნენ. ამ ცნობით, რომელზეც არარსებული ფიზკულტურის მეთოდისტის ხელმოწერაა, ნადირაძემ სათვალავს შეჯიბრების მონაწილე კიდევ 600 კაცი მიუმატა, ნიშნოსნად კი სულ ხუთიოდე კაცი მონათლა, რამეთუ ეს გეგმა უკვე „შესრულებული“ ჰქონდა. ახლა, თუ იმასაც ვიტყვით, რომ კოლექტივში არა 600, არამედ სულ 150 კაცი მუშაობს, ნათელი გახდება ის სიხარბე, რაც ნადირაძეს შტამპიანი ქაღალდის ხელში ჩაგდებამ აღუძრა. ჩვენთვის უცნობი სხვადასხვა მაქინაციით ნადირაძემ ასეთი ცნობები ხელში ჩაიგდო, აგრეთვე, „საქმადნეულის“ საწარმოო გაერთიანებიდან, მარნეულის სასწავლო-საწარმოო წამოწყებიდან, მრავალწლიანი ბალახების თესლების წარმოების საბჭოთა მეურნეობიდან...

საკითხავია, რატომ არის ასე ხელმისაწვდომი ყველასათვის ზემოხსენებულ ორგანიზაციებში შტამპიანი ქაღალდები?

სამწუხაროდ, რაიონში მომხდარი დარღვევების ნუსხა მხოლოდ ამით როდი ამოიწურება. როგორც დადასტურდა, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა რაიონში საერთოდ სიყალბეზე, თვალის ახვევის ფაქტებზე და მიწერებზეა დაფუძნებული. რაღა შორს მივდივართ, ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტში კოლექტივების წლიური ანგარიშებიც (ფორმა № 1) არ ინახება. თითქმის ჩაშლამდეა მისული მუშაობა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების რაიონულ საბჭოებში. კომიტეტის სამუშაო გეგმა წმინდა წყლის ფორმალობაა. უფრო მეტიც, იგი სიტყვასიტყვითაა გადმოწერილი ძველი დავთრებიდან. კომიტეტის 1973 და 1974 წლების სხდომების ოქმების თარიღებზე სასვენ ნიშნებშიც კი ვერ ნახავთ სხვაობას. ზოგიერთი სხდომა არასამუშაო (!) დღეებშიც კი ჩატარებულა. სიყალბეს ფარდას ხდის ისიც, რომ კომიტეტში არ ინახება განხილული საკითხების შემოწმების მასალები.

— კომიტეტის სხდომები ორ თვეში ერთხელ ტარდებოდა, მაგრამ რომელ რიცხვებში, ან რა საკითხებზე, არ გვახსოვს, — წერენ განმარტებით ბარათებში სპორტული საზოგადოებების რაიონული საბჭოების თავმჯდომარეები, მუშაკები, რომელთა უნარზე და საქმისადმი სიყვარულზე დამოკიდებულია რაიონში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის წინსვლა-განვითარება. კომიტეტს კი ერთხელაც არ უმსჯელია რაიონში მშდ კომპლექსის დანერგვის მდგომარეობაზე და სხვა პრობლემურ საკითხებზე.

ფიქციურად დგებოდა რაიონის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი. ნადირაძეს თვად გაუჭირდა განემარტა, თუ რისთვის დასჭირდა წლევანდელი კალენდრის სამი ვარიანტის შედგენა. არ იფიქროთ, რომ რაიონის „მჩქეფარე“ სპორტული ცხოვრება ერთმა კალენდარმა ვერ დაიტია. მაგრამ ასეა თუ ისე, მთავარი კალენდარი არ არის. მთავარია სხვა საბუთები, უფრო სწორად, ის, რასაც სპორტულ ენაზე შეჯიბრების დებულებას, განაცხადს, ოქმებსა და ანგარიშებს ვეძახით, რაც ზურგს უნდა უმაგრებდეს კალენდარსაც და მის შემდგენლებსაც. ნადირაძე რატომღაც ფიქრობდა, რომ ზურგი მუდამ მაგარი ჰქონდა, ქაღალდები კი, სხვა რომ არა ვთქვათ, ჩალის ფასადაც არ უღირდა, არ უღირდა და თავიც არ შეუწუხებია. ისიც საკმარისი იყო, რაც ძველი კოლეგებისგან მიიღო მემკვიდრეობით. თავად მხოლოდ საქაღალდეებზე და სწრაფჩამკერებზე წლების გადაკეთებით იხდიდა მოვალეობას.

თუ გონების თვალით ბრმა ხარ, ყველა შენებრ გგონიაო, ამბობდა სულმნათი სულხან-საბა. ნადირაძესაც რატომღაც ჰგონია, რომ ყველაფერი მისი გონების თვალით იზომება. ჰგონია იმიტომ, რომ რაიონის ფიზკულტურელთა „მესვეური“ პირველი დღიდანვე უქნარობისა და სიყალბის გზას დაადგა. მერე ამ საქმეში ისე გაიწაფა, რომ თავადვე დაიჯერა და ირწმუნა ის, რაც მისთვის სასურველი იყო.

მთელ ამ „წარმატებებთან“ ერთად ნადირაძე არც ფინანსურ საქმიანობაში ჩანს უცოდველი. რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სარევიზიო ჯგუფმა ბევრი სერიოზული დარღვევა და მათ შორის ფეხბურთის აბონემენტების რეალიზაციაში დაშვებული დანაშაულიც გამოიტანა სააშკარაოზე.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტის კოლეგიამ ამ დღეებში განმეორებით იმსჯელა მარნეულის რაიონში მშდ კომპლექსის მდგომარეობისა და ფიზკულტურის კომიტეტში დაშვებული დარღვევების შესახებ. კოლეგიამ ზემოხსენებული დარღვევებისთვის კ. ნადირაძე მოხსნა დაკავებული თანამდებობიდან.

„განთიადის“, „კოლმეურნის“, „სპარტაკისა“ და „შრომითი რეზერვების“ რაიონული საბჭოების, აგრეთვე, ბავშვთა სპორტული სკოლის საქმიანობის საკითხის შესწავლა და კონკრეტული ღონისძიების გატარება შესაბამის ზემდგომ ორგანიზაციებს დაევალათ.

კოლეგიამ მარნეულის პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის წინაშე დასვა საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად რაიონში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

თ. გაჩეჩილაძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).

მარნეული.

---

### პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

# ლიდერები სტარტიდან ფინიშამდე

წატახტრის გზატკეცილი ტრადიციულად ველოსიპედისტთა საასპარეზოდ ითვლება. საქართველოს სამხედრო გზის 30-ე კილომეტრი არა ერთი და ორი საინტერესო ბრძოლის მოწმე ყოფილა. ამ მხრივ გამონაკლისი არც პროფკავშირების რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით ამას წინათ გამართული ველოსიპედისტთა შეჯიბრება იყო.

თავდაპირველად მოასპარეზეებმა ძალები მოსინჯეს რიგ-რიგი სტარტით 25-კილომეტრიან მონაკვეთზე. აქ ყველას აჯობა „ბურევესტნიკის“ გუნდის წევრმა ა. ხომუტოვმა — 34.52. II საპრიზო ადგილი მის თანაგუნდელს ა. კოსტეცკის ერგო — 35.11. სპარტაკელი ი. რთველიაშვილი III ადგილზე დარჩა — 35.17.

50 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება ბურევესტნიკელმა ველოსიპედისტებმა დატოვეს. მათ I ადგილი ხვდათ.

საინტერესო იყო გუნდური რბოლა 100 კილომეტრზე. სტარტიდანვე დაწინაურდა კვარტეტი, რომელშიც იყო ორი განთიადელი (გ. თოლორდავა და ვ. ვარსიმაშვილი), და ორიც — ბურევესტნიკელი (ხომუტოვი და კოსტეცკი) სპორტსმენი. ნახევარი რბოლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ლიდერებს ძირითადი ჯგუფიდან ვეღარავინ დაეწეოდა. ამას კარგად გრძნობდნენ დაწინაურებულებიც, რომლებმაც დისტანციის დასასრულს კიდევ უფრო უმატეს ტემპს და ბოლოს თითქმის 5 წუთი მოუგეს ძირითად ჯგუფს.

I ადგილი კი ამ ოთხეულმა გაიყო. ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა ხომუტოვი — 2:25.19. მსაჯთა კოლეგიამ გულმოდგინედ შეამოწმა ველოსიპედისტთა თანმიმდევრობა ფინიშზე და II ადგილი კოსტეცკის მიაკუთვნა, III — ვარსიმაშვილს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პროფკავშირების სპარტაკიადის ჩემპიონობა „ბურევესტნიკის“ ველოსიპედისტებს ხვდათ.

ნ. კოტრიკაძე.

# სპარტაკელები უკეთ მოემზადნენ

მცხეთაში გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. რატომ მაინცდამაინც მცხეთა აირჩიეს ფალავნების საასპარეზოდ? იმიტომ, რომ ქართული ჭიდაობა საქართველოს ძველ დედაქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს ცხადი გახდა ტურნირის დღეებშიც, როცა შეჯიბრების სარბიელს უამრავი გულშემატკივარი მიაწყდა. მაყურებლებს იმედი გაუმართლდათ: მათ ბევრი საინტერესო და ამაღელვებელი ორთაბრძოლა ნახეს.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „ლოკომოტივის“, „სპარტაკის“, „კოლმეურნის“, „შრომითი რეზერვების“ კოლექტივები. სხვებზე უკეთ მომზადებული გუნდი გამოიყვანა „სპარტაკმა“. მას მხოლოდ 19 საჯარიმო ქულა დაუგროვდა და I ადგილიც დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდნენ „ბურევესტნიკის“ ფალავნები (22 ქულა), ხოლო III — „კოლმეურნის“ წარმომადგენლები (24).

უმჩატეს წონაში სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება განთიადელმა თ. მჭედლიშვილმა დაიმსახურა. მომდევნო წონებში I ადგილები დაიკავეს ძმებმა ა. და თ. ზურაბიანებმა (ორივე — „სპარტაკი“). ძმები ხასიათითაც ერთნაირი აღმოჩნდნენ და ჭიდაობის სტილითაც, ამიტომ მათი მაჩვენებლებიც აბსოლუტურად ერთნაირი გამოდგა: ორივემ 3-3 შეხვედრა წმინდად მოიგო და თითოც — ქულებით.

მსუბუქ წონაში უძლიერესის ტიტული დაიმსახურა განთიადელმა გ. მურაჩაშვილმა. სამი რიგითი გამარჯვება წარმატებისთვის სავსებით საკმარისი გამოდგა. ბოლო შეხვედრა მურაჩაშვილმა ვერ დაამთავრა, მაგრამ ამას საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია, მარცხს ვერ გადაურჩა ქვესაშუალო წონის ათლეტი, სპარტაკელი ზ. ფიცხელაური. და მაინც, მან ვერცხლის ჯილდო დაიმსახურა. საშუალო წონაში ჩემპიონი გახდა „კოლმეურნის“ მოჭიდავე ა. შუშანიძე.

ქვემძიმე და მძიმე წონებში პროფკავშირების სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს ი. დილმელაშვილმა („განთიადი“) და ნ. ნუგზარაშვილმა („კოლმეურნე“). განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა ნუგზარაშვილის შერკინებები: მან ოთხი შეხვედრა წმინდად მოიგო და ამ გამარჯვებებს 9 წუთი და 10 წამი მოანდომა. მართალია, ერთ შეხვედრაში იგი ფრეს დასჯერდა, მაგრამ ამას არსებითი გავლენა არ მოუხდენია შედეგზე.

ც. ფაქიალაძე.

# განთიადელებმა ამჯერადაც იმარჯვეს

ამას წინათ ბათუმში გაიმართა ველოსიპედისტთა შეჯიბრება აჭარის ალკკ საოლქო კომიტეტის გარდამავალ პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ სპორტსმენები.

45-კილომეტრიანი რთული ტრასა ყველაზე უკეთ გაიარა 18 წლის განთიადელმა ა. ქვარიანმა. ფინიშთან მეორე მივიდა მისი თანაგუნდელი ა. ვალუისკი. III ადგილი ქობულეთის რაიონის „კოლმეურნის“ ველოსიპედისტს თ. ვერულაშვილს ხვდა.

მთავარი პრიზი და გუნდური გამარჯვება, ისევე როგორც შარშან, განთიადელებმა მოიპოვეს. გამარჯვებული კოლექტივის შემადგენლობაში ქვარიანისა და ვალუისკის გარდა გამოდიოდნენ ა. კოკოტი და გ. მეავანაძე.

II ადგილი დინამოელებს ხვდათ.

შ. კირაკოსიანი.

ბათუმი.

---

# „ლელოს“ გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

## ზომები მიღებულია

რედაქციაში შემოვიდა წერილი, სადაც ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი მკითხველი გვწერდა, რომ აბაშის რაიონში სეფიეთი საკმაოდ მოზრდილი სოფელია, რომლის ახალგაზრდობაც მონდომებით შრომობს კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ქმნის სახალხო დოვლათს. შრომისმოყვარე ახალგაზრდებს სპორტიც უყვართ, მაგრამ ვარჯიშის პირობები არ გააჩნიათ. ფეხბურთის მინდორი და კალათბურთის მოედანი პირუტყვის სათარეშოდაა გადაქცეული, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე რ. ლაბარტყავა კი ყურადღებას არ აქცევს შექმნილ მდგომარეობას.

როგორც საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი გ. მგელაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

აღნიშნული საკითხის შესახებ იმსჯელა რაიკომის ბიურომ. კოლმეურნეობის გამგეობამ რ. ლაბარტყავა გაათავისუფლა თანამდებობიდან, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა უნარიანი ახალგაზრდა რ. მელია.

ამჟამად კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია და მუშაობს ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის სექციები. მიღებულია ზომები ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

# ერთი გუნდის შუქ-ჩრდილები

### ცნობა ქუთაისის „ტორპედოს" შემოწმების შესახებ

## I. პირადი შემადგენლობა

(მიმდევრობითაა მოცემული სახელი, გვარი, დაბადების წელი, პარტიულობა, განათლება, თანამდებობა, სათამაშო ადგილი).

### ა) გუნდის ხელმძღვანელობა

1. ანატოლი ნორაკიძე — სკკპ წევრი, უმაღლესი, გუნდის უფროსი მწვრთნელი.
2. გარი სორდია — უპარტიო, უმაღლესი, გუნდის უფროსი.
3. ავთანდილ წვერავა — სკკპ წევრი, უმაღლესი, მწვრთნელი.
4. გენადი ფუტკარაძე — უპარტიო, უმაღლესი, ექიმი.
5. თამაზ კენჭაძე — უპარტიო, საშუალო, ადმინისტრატორი.
6. კარლო ხურციძე — სკკპ წევრი, უმაღლესი, მოსამზადებელი ჯგუფების უფროსი მწვრთნელი.
7. დურმიშხან თოდაძე — უპარტიო, უმაღლესი, მოსამზადებელი ჯგუფების მწვრთნელი.
8. დემურ აბუთიძე — ალკკ წევრი, უმაღლესი, მოსამზადებელი ჯგუფების მწვრთნელი.

### ბ) ფეხბურთელები

1. თეიმურაზ გრძელიშვილი — 1946, ალკკ წევრი, უმაღლესი, მეკარე.
2. მიხეილ კვერნაძე — 1956, ალკკ წევრი, საშუალო, მეკარე.
3. ოთარ გაბელია — 1953, ალკკ წევრი, სტუდენტი, მეკარე.
4. გიორგი აბზიანიძე — 1948, ალკკ წევრი, სტუდენტი, მცველი.
5. ნუგზარ ფიფია — 1952, ალკკ წევრი, სტუდენტი, მცველი.
6. თამაზ კოსტავა — 1956, ალკკ წევრი, საშუალო, მცველი.
7. მურად ქუთათელაძე — 1952, ალკკ წევრი, სტუდენტი, მცველი.
8. რევაზ ჭოხონელიძე — 1948, ალკკ წევრი, სტუდენტი, მცველი.
9. თენგიზ სულაქველიძე — 1956, ალკკ წევრი, საშუალო, მცველი.
10. დურმიშხან ქვირია — 1952, ალკკ წევრი, საშუალო, ნახევარმცველი.
11. შოთა ოქროპირაშვილი — 1950, ალკკ წევრი, სტუდენტი, ნახევარმცველი.
12. მერაბ ჩახუნაშვილი — 1951, ალკკ წევრი, სტუდენტი, ნახევარმცველი.
13. ბადრი ფარულავა — 1954, ალკკ წევრი, საშუალო, ნახევარმცველი.
14. ვლადიმერ შელია — 1953, ალკკ წევრი, სტუდენტი, ნახევარმცველი.
15. როლანდ ფესტვენიძე — 1952, ალკკ წევრი, სტუდენტი, თავდამსხმელი.
16. ჯემალ ხერხაძე — 1945, ალკკ წევრი, საშუალო, თავდამსხმელი.
17. გიორგი გაბიჩვაძე — 1955, ალკკ წევრი, საშუალო, თავდამსხმელი.
18. რევაზ ბურკაძე — 1956, ალკკ წევრი, საშუალო, თავდამსხმელი.
19. რამაზ შენგელია — 1957, ალკკ წევრი, საშუალო, თავდამსხმელი.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ გუნდში სუფევს შრომისმოყვარეობისა და მეგობრობის, ხელმძღვანელობისადმი ნდობის ჯანსაღი ატმოსფერო. ყველაფერი ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მოსამზადებელი ჯგუფების უფროსი მწვრთნელის კ. ხურციძის დიდი დამსახურება ისაა, რომ გუნდში მოვიდნენ და კვლავაც მოდიან საკუთარ სკოლაში აღზრდილი ფეხბურთელები. გუნდის უფროსი მწვრთნელის ა. ნორაკიძის დიდი დამსახურება ისაა, რომ გუნდმა ნდობა გამოუცხადა ახალგაზრდობას, უნარიანად და თამამად განაახლა თავისი შემადგენლობა, ხოლო ჩამოყალიბებული საინტერესო ანსამბლის აღზრდა თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნილებების შესაბამისად ხდება.

## II. საწვრთნელი პროცესი

იანვრიდან დაწყებული აგვისტოს ჩათვლით მიმდინარე გეგმით გათვალისწინებული იყო და ფაქტიურად შესრულდა შემდეგი მოცულობის პრაქტიკული მუშაობა:

| | გეგმით | ფაქტი |
|---|---|---|
| 1. შეჯიბრებები | 37 | 38 |
| 2. მეცადინეობათა საერთო რაოდენობა | 460 | 459 |
| მათს რიცხვში | | |
| ძირითადი | 168 | 163 |
| დამატებითი | 49 | 53 |
| დილის | 243 | 243 |
| 3. ძირითადი მეცადინეობიდან: | | |
| დიდი დატვირთვით | 51 | 51 |
| საშუალო დატვირთვით | 88 | 80 |
| მცირე დატვირთვით | 29 | 32 |
| 4. მეცადინეობები საათებში | 628 | 622 |
| მათს რიცხვში | | |
| ძირითადი | 336 | 326 |
| დამატებითი | 49 | 53 |
| დილის | 243 | 243 |
| 5. შეჯიბრებები საათებში | 111 | 114 |
| 6. მთლიანად პრაქტიკული მუშაობა საათებში | 739 | 736 |

ამრიგად, სავარჯიშო საათების ფაქტიური მოცულობა, თუ არ ჩავთვლით სრულიად უმნიშვნელო გადახრას (1 პროცენტზე ნაკლები), ანგარიშის მიხედვით დაგეგმილს უთანაბრდება, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნოთ შემდეგი:

ა) შემოწმებამ გვიჩვენა, რომ დიდი და საშუალოდატვირთვიანი ძირითადი მეცადინეობების ხანგრძლივობა არასოდეს აჭარბებს ორ საათს, ხოლო მცირედატვირთვიანი — ერთ საათს. აქედან გამომდინარეობს (დიდი და საშუალოდატვირთვიანი 131 მეცადინეობა გამრავლებული 2 საათზე პლუს 32 მცირედატვირთვიანი მეცადინეობა გამრავლებული 1 საათზე), რომ ძირითადი მეცადინეობების ფაქტიურმა მოცულობამ ანგარიშისგან განსხვავებით შეადგინა არა 326, არამედ მხოლოდ 294 საათი, ხოლო ერთი ძირითადი მეცადინეობის საშუალო ხანგრძლივობამ — არა 2, არამედ 1,8 საათი.

ბ) დილის მეცადინეობების რიცხვში ყველა კალენდარული დღე შედის, ამ დროს კი თამაშისწინა შეკრებებზე ყოფნის პერიოდში (22, 23, 24 სექტემბერი), რომელიც შემოწმებას დაემთხვა, გუნდს დილის მეცადინეობები არ ჩაუტარებია. ამრიგად, თუ როდისმე მაინც ჩაუტარებიათ დილის მეცადინეობები, ანგარიშში მოცემული მათი ჯამური დრო მეტისმეტადაა გაზვიადებული.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თამაშის ხარისხი (მათს რიცხვში როსტოვის ასკ-სთან) ლაპარაკობს იმაზე, რომ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში გუნდი და ცალკეული ფეხბურთელები საკმაოდ გავარჯიშებული არიან. რით შეიძლება აიხსნას ეს იმ პირობებში, როცა ფეხბურთელები ფაქტიურად დაგეგმილ დროზე ნაკლებს ვარჯიშობდნენ? მხოლოდ ერთით: სახელდობრ, შინაარსიანი და შრომატევადი წვრთნით, მისი კარგი ხარისხით. ეს მტკიცდება, კერძოდ, მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებული ვარჯიშების შესახებ ჟურნალში შეტანილი საკმაოდ დაწვრილებითი ჩანაწერებით, რომლებიც მომზადების ყველა მხარეს მოიცავს. ამაზე მეტყველებს, აგრეთვე, დატვირთვების ითლი ატანა ფეხბურთელთა მიერ 22, 23 და 24 სექტემბერს ვარჯიშებზე წონის დაკარგვისა და აღდგენის დროს.

ზემოთქმულის ილუსტრაცია შემდეგი მონაცემებით შეიძლება: 21 სექტემბერს გუნდი ისვენებდა კალენდარული თამაშის შემდეგ, 22 სექტემბერს კი ჩაატარა ორსაათიანი საშუალოდატვირთვიანი მეცადინეობა (14 ფეხბურთელის საშუალო წონა ვარჯიშამდე 73 კგ იყო, ვარჯიშის შემდეგ — 71,8 კგ, წონის საშუალო დანაკარგი — 1,2 კგ). 22 სექტემბერს გუნდმა ორი მეცადინეობა ჩაატარა — დამატებითი, ტექნიკის სრულყოფისთვის დილით და ორმხრივი თამაში (დიდი დატვირთვა) საღამოს (იმავე 14 ფეხბურთელის საშუალო წონა მეცადინეობამდე — 72,9, მეცადინეობის შემდეგ — 70,9, წონის დანაკარგი — 2 კგ). 24 სექტემბერს მეცადინეობამდე მათი საშუალო წონა 72,3 კგ იყო. ამრიგად, მივიღეთ წონის ნორმალური დანაკარგი და აღდგენა საშუალოდატვირთვიანი ვარჯიშის მეორე დღეს, ნორმალური (უფრო გაზრდილი) დანაკარგი და არასრული აღდგენა (0,6 კგ) დიდდატვირთვიანი წვრთნის მეორე დღეს. ესე იგი, ეს მონაცემებიც იმას ამტკიცებს, რომ ფეხბურთელები გაწვრთნილობის მხრივ დამაკმაყოფილებელ დონეზე არიან და ცუდად არ იტანენ საკმაოდ დიდ დატვირთვებს.

მაგრამ, თუმცა ეს გარემოება თითქოს ამართლებს კიდეც გუნდის საწვრთნელ პრაქტიკას, ჩვენ მიგვაჩნია, რომ შემდეგში (გაისად) საჭიროა გუნდმა მტკიცედ აიღოს კურსი სავარჯიშო დროის გაზრდისკენ. ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ შემადგენლობით ახალგაზრდულ გუნდში ბევრი დრო უნდა დაეთმოს სასწავლო ამოცანებს, მაგრამ ისე, რომ არ დაზარალდეს წმინდა სავარჯიშო, უფრო ინტენსიური ხასიათის ამოცანები. მეცადინეობის ასეთი სტრუქტურა მისი უფრო გახანგრძლივების საშუალებას იძლევა, ყოველ შემთხვევაში იმდენად, რომ 2 საათზე მეტი იყოს. ასეა თუ ისე, გუნდის მიერ ნაჩვენები შრომისუნარიანობა და მოძრაობის უნარი მინიმალურად უნდა მივიჩნიოთ, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ მწვრთნელის მისწრაფებას, რომ სრულყოს თამაში დიდი მანევრულობისა და ტოტალური ფეხბურთის მიმართულებით. ესე იგი, აქაც პერსპექტივაში გუნდი სავარჯიშო დატვირთვების სერიოზულ გაზრდას საჭიროებს.

უნდა ითქვას, რომ სასარგებლო იქნება, როგორც ამას შორეულ წარსულში აკეთებდნენ ფეხბურთელები, უფრო ხშირად და მეტი ვარჯიში, უბრალოდ, კარში დარტყმაში. ეს ნახევარ საათზე მეტს არ საჭიროებს და, რადგან მაინცდამაინც არც დამღლელია, მეცადინეობის გახანგრძლივების ხარჯზე უნდა მოხდეს.

მეცადინეობის გახანგრძლივება აუცილებელია სასწავლო ხასიათის ტაქტიკური ვარჯიშების გამოც, რასაც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის გამოცდილება გვიკარნახებს. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ჩვენი მწვრთნელი, რომელსაც არ ესმის, რომ თამაშის სტილი ადამიანის ხასიათის თავისებურებებით განისაზღვრება, აპირებს საქართველოში დანერგოს წმინდად გამოხატული ჰოლანდიური ფეხბურთი. ამასთან დაკავშირებით თეორიულ დავას არ დავიწყებთ, მაგრამ შევნიშნავთ, რომ ამ მისწრაფებაში რაციონალური მარცვლის შენარჩუნებაა საჭირო. არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი გუნდები სრულიად არ იყენებენ სპეციალურად შესწავლილ კომბინაციებს, ან, როგორც მოჭადრაკეები იტყოდნენ, არ სარგებლობენ საშინაო მომზადების ნაყოფით, რაც მინდორზე ნებისმიერი მოქმედების, მათ შორის იმპროვიზაციული თამაშის ხერხემალს შეადგენს.

საქართველოს გუნდების ტაქტიკური მეცადინეობები მეტისმეტად ზოგადი ხასიათისაა და დაყვანილია ფეხბურთელთა უბრალოდ სტიქიურ შეთამაშებამდე. ამავე დროს ჩვენც უნდა ავითვისოთ ვარჯიშებზე ორ, სამ- და ოთხსვლიანი კომბინაციები, ისე, როგორც ამას, მაგალითად, ინგლისელები აკეთებენ (იხ. ე. ბეტის წიგნი „ფეხბურთის თანამედროვე ტაქტიკა"). შესწავლა საჭიროა ჯერ მაკეტზე, შემდეგ — მინდორზე, „მეტოქის" გარეშე, მერე — მოცემულ უკუზემოქმედებასთან ერთად. დაბოლოს, როცა კომბინაცია საკმარისადაა ათვისებული, შეიძლება „მეტოქის" მცველებს მიეცეთ თავისუფლება კონტრსვლების არჩევაში. იგივე შეიძლება ითქვას დაცვითი ოპერაციების შესახებ (დაზღვევები, ურთიერთმოქმედება). ვარჯიშის დროს კომბინაციის ათვისება ჩვენი გუნდების ტაქტიკური მომზადების ერთ-ერთი ახალი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საერთოდ, საჭიროა ავამაღლოთ გუნდებთან მუშაობის პროფესიული კულტურა. გარკვეულწილად ეს ქუთაისის „ტორპედოსაც" ეხება.

ვარჯიშების მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო კონტროლს — საერთოსა და ოპერატიულს; სისტემატურ, თუნდაც შერჩევითს დაკვირვებას ფეხბურთელებში ვარჯიშითა და შეჯიბრებებით გამოწვეულ ფუნქციონალურ ძვრებზე. უამისოდ, ასეთი კონტროლის გარეშე, ვარჯიშის დატვირთვის რაიმე სერიოზულ გაზრდაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ორივე სახის კონტროლი „ტორპედოს" გუნდში არადამაკმაყოფილებელ დონეზე დგას, რაც მით უფრო საკვირველია, რომ ექიმ გ. ფუტკარაძის სახით გუნდს ჰყავს საკმაოდ მცოდნე, თავისი საქმისა და ფეხბურთის დიდად მოყვარული სპეციალისტი. ახსნა აქ, როგორც ჩანს, იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ახალგაზრდობის გამო მას, უბრალოდ, გამოცდილება აკლია მუშაობაში, ხოლო რესპუბლიკის სპორტული დისპანსერი აუცილებელ დახმარებას არ უწევს.

საერთო სამედიცინო გამოკვლევა გუნდმა წლეულს მხოლოდ ერთხელ გაიარა — 11 თებერვალს, ვალდებული კი იყო კიდევ, სულ ცოტა, ორჯერ გაევლო: სეზონის გახსნამდე და გათამაშების პირველ და მეორე წრეებს შორის. სამწუხაროა, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს (ხერხაძე, სულაქველიძე, გაბელია, ფიფია) საერთოდ არ გაუვლია სამედიცინო შემოწმება. საკვირველი ის არის, თუ რანაირად დაამოწმეს ექიმებმა გუნდის საგანაცხადო სიები. ვიმეორებ, ფუნქციონალურ ძვრებზე ოპერატიული დაკვირვებები გუნდში არ წარმოებს. ამ მხრივ გამონაკლისს არც ისინი წარმოადგენენ, ვის საწყის მონაცემებსაც ექიმი უნდა ჩაეფიქრებინა (მაგალითად, ფესტვენიძის არტერიული წნევაა 150/50, შენგელიასი — 120/40), მით უმეტეს, როცა ფეხბურთელები მეტად ახალგაზრდები არიან (17 წლისა).

გუნდში უკეთესად უნდა იყოს წარმოებული დოკუმენტაცია. ოპერატიული დაგეგმვა არ არსებობს. არ იწერება მეცადინეობათა კონსპექტები. თუ მოსამზადებელ პერიოდს არ ჩავთვლით (ცალკე ჟურნალი), ვარჯიშების შესახებ ჩანაწერები მეტად ზოგადია: ცნობილი არ არის, როგორი ვარჯიშებისგან შედგებოდა მეცადინეობა და რამდენი დრო იხარჯებოდა მასზე, არ აღრიცხავდნენ წახალისებებსა და სასჯელს. ჟურნალში არაფერი წერია იმის შესახებ, ატარებდნენ თუ არა ვარჯიშებს ტექნიკური და ფიზიკური ტესტების მიხედვით.

როგორც ჩანს, არც აღმზრდელობითი მუშაობაა უნაკლოდ მოგვარებული.

რაც ყველაზე მთავარია: გუნდში, რომელზეც ასეთ იმედს ამყარებენ, რომელმაც მისი ახლანდელი მწვრთნელის მეოხებით საქართველოს ფეხბურთს ამდენი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი მისცა, არავითარი მუშაობა არ ტარდება სათადარიგო შემადგენლობასთან. განა გუნდის განახლების ისტორია მისი ერთი თაობით მთავრდება? სათადარიგო შემადგენლობასთან სერიოზულად უნდა მუშაობდნენ. თუმცა, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ესოდენ ნაყოფიერად მომუშავე მოსამზადებელ ჯგუფებსაც. ყოვლად გაუმართლებელია, რომ ჯგუფები საშინელ პირობებში ვარჯიშობენ: უპირატესად ასფალტზე, ყოველგვარ დამხმარე მოწყობილობათა გარეშე. ზამთრობით ჯგუფებს ვარჯიშის საშუალება არ გააჩნიათ, ამავე დროს წარმოდგენაც არა აქვთ საბაზისო ბანაკებზე. და რადგან ქუთაისში ახალგაზრდა ფეხბურთელები მაინც იზრდებიან, მით უფრო მნიშვნელოვანია იქ აუცილებელი პირობების შექმნა და გუნდთან საფეხბურთო სკოლის დაარსება.

ასეა თუ ისე, ფეხბურთი ქუთაისში აღმავლობას განიცდის, მაგრამ არ ღირს თავის მოტყუება მისი პირველი წარმატებებით. შემდგომი წინსვლა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად კრიტიკულად შეხედავენ გუნდისა და ქალაქის სპორტული ხელმძღვანელები, თვით ფეხბურთელები თავიანთს კოლექტივში შექმნილ საკმაოდ იმედის მომცემ ვითარებას.

**ვ. მდივანი,**
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭოს წევრი.

---

# დღეს კატოვიცეში

### „კლასიკოსთა" მსოფლიო ჩემპიონატის წინ

პოლონეთის ქალაქ კატოვიცეს დიდი სპორტული ტრადიციები აქვს, მაგრამ მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი იქ არასდროს ჩატარებულა. და აი, ევროპის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა პირველობის (1972 წ.) შემდეგ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ, როგორც ჩანს, პოლონელთა მასპინძლობა სამაგალითოდ ჩათვალა, ვინაიდან წლეულს მას უფრო პასუხსაგები მისია დააკისრა — მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობა. ტურნირი დაიწყება 10 ოქტომბერს და ოთხ დღეს გასტანს.

მაგრამ კატოვიცეს კანდიდატურის სასარგებლოდ მხოლოდ ამ ქალაქის სტუმართმოყვარეობა როდი მეტყველებს. პოლონეთი დღეს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ჭიდაობაში და ამ წარმატებას იქაურმა ათლეტებმა ბოლო წლებში მიაღწიეს.

ყველაზე დიდი გამარჯვება პოლონელმა „კლასიკოსებმა" მოიპოვეს შარშან მსოფლიო ჩემპიონატში. ისინი II გუნდურ ადგილზე გავიდნენ სსრ კავშირის ნაკრების შემდეგ და ჩამოიტოვეს ისეთი მოწინავე ტრადიციების ქვეყანა, როგორიც ბულგარეთია. თეირანის მსოფლიო ჩემპიონატი მართლაც ჭეშმარიტი აღიარება იყო პოლონური საჭიდაო სკოლისა. ამ სკოლის საუკეთესო წარმომადგენლებმა, ძმებმა იუზეფ და კაზიმეჟ ლიპენებმა ირანის დედაქალაქის სარბიელზე ოქროს მედლები მიიღეს. თავი გამოიჩინეს გუნდის სხვა წევრებმაც, სახელდობრ ხვირადმა, მიხალიკმა, კვეცინსკიმ, სკშიდლევსკიმ. პირველ სამ მოჭიდავეს ვერცხლის მედლები ერგო, სკშიდლევსკის კი — ბრინჯაოსი. მსოფლიო ჩემპიონატის 6 მედალი — ეს პოლონეთის გუნდის სიძლიერის უტყუარი საბუთია და კიდევ იმის გარანტია, რომ ამ ქვეყნის ათლეტები წლეულსაც უმაღლესი ტიტულებისთვის იბრძოლებენ.

ამ ბრძოლაში პოლონელ სპორტსმენებს ერთგვარი ფსიქოლოგიური უპირატესობაც ექნებათ, ვინაიდან მათ თავიანთი ტიტულების დაცვა საკუთარ სარბიელზე მოუწევთ, უსაზღვროდ ერთგული გულშემატკივრების თვალწინ. მთავარ მეტოქეებად კი, როგორც შარშან, საბჭოთა მოჭიდავეები ეყოლებათ.

სსრ კავშირის ნაკრებმა თეირანში დიდ გამარჯვებას მიაღწია. გუნდურ ჩათვლაში მან 12 ქულით გაუსწრო პოლონეთის ეროვნულ გუნდს. 5 საბჭოთა „კლასიკოსი" მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ორმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა და ერთმა — ბრინჯაოსი. შარშანდელი ჩემპიონები ვ. ზუბკოვი, შ. ხისამუტდინოვი, ლ. ლიბერმანი, ვ. რეზანცევი, ნ. ბალბოშინი წლეულსაც მზად არიან გაიმეორონ ეს წარმატება და ალბათ ყველა მათგანს აქვს თავის გამოჩენის შანსი, ერთის გარდა. ეს ერთი ლიბერმანია, რომელიც ნაკრების მწვრთნელებმა წლევანდელ შემადგენლობაში არ შეიყვანეს. სამაგიეროდ, არიან ახალგაზრდა პერსპექტიული დებიუტანტები, რომელთა შორის ორს თამამად შეუძლია უფროსი ამხანაგების წარმატების გამეორება. ესენი არიან სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონები ფ. მუსტაფინი და ა. კაზაკოვი.

სხვათა შორის, საბჭოთა მწვრთნელების აზრით, წლევანდელი გუნდი მომავალი ოლიმპიური ნაკრების ძირითადი ბირთვი იქნება. ამიტომაც თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ სსრ კავშირის მთავარი გუნდის ხელმძღვანელებმა უკვე დაამთავრეს ძიება და შემადგენლობის სტაბილიზაციის გზას დაადგნენ.

როგორც ხედავთ, ნაკრების წევრთა წინაშე დიდი სპორტული პრობლემებია დასახული. მაგრამ მათ, ამავე დროს, აქვთ სხვა, უფრო „მიწიერი" საზრუნავიც და ყველა თავისებურად მოქმედებს. მაგალითად, წლეულს ზაფხულში მინსკელმა ვ. ზუბკოვმა და ერევნელმა ვ. არუთინოვმა დაამთავრეს ფიზკულტურის ინსტიტუტი და დიდი ცხოვრების საგზურები მიიღეს, თბილისელი ი. ბერიშვილი კი სწავლას განაგრძობს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ალბათ სულ მალე დაამთავრებს საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობას ალმაათელი ა. ნაზარენკო...

სპორტი სპორტია, მაგრამ ნაკრების არც ერთი წევრი არ ივიწყებს, რომ მასთან ერთად საჭიროა სწავლა, შრომა, ოჯახის შექმნა და საერთოდ, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა.

მაშ ასე, დღეს კატოვიცეში სტარტს აიღებს წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი მთავარი შეჯიბრება — მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში.

**ნ. ახვლედიანი.**

---

[illegible] ... $19^{45}$

◆ მოსკოვი, 9 ოქტომბერი. სსრ კავშირის ნაკრები კატოვიცეში საასპარეზოდ ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა (წონითი კატეგორიების მიხედვით): ვ. ზუბკოვი (მინსკი), ვ. არუთინოვი (ერევანი), ფ. მუსტაფინი, ა. კაზაკოვი (ორივე — მოსკოვი), ნ. დავიდიანი (კიევი), ი. ბერიშვილი (თბილისი), ა. ნაზარენკო, ვ. რეზანცევი (ორივე — ალმა-ათა), ნ. ბალბოშინი (მოსკოვი), შ. მორჩილაძე (თბილისი). შეგახსენებთ: სსრ კავშირის „კლასიკოსები" მსოფლიო ჩემპიონატებში 1953 წლიდან მონაწილეობენ. თერთმეტჯერ მთავარი პრიზი გუნდური გამარჯვებისთვის მათი იყო. ერთხელ კი, 1971 წელს, პირველობა ბულგარელებმა დაისაკუთრეს.

# ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

გუშინწინ ტაშკენტში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: „ფახთაქორი" — „ქაირათი".

მასპინძლებმა საუკეთესოდ ითამაშეს და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 4:1. ჰეთ-თრიკი შეასრულა ანმა, კიდევ ერთი ბურთი გაიტანა ფიოდოროვმა. ალმაათელებმა მხოლოდ ერთხელ აიღეს მასპინძელთა კარი (ჩებოტარიოვი).

### უმაღლესი ლიგა

### I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ." | 33 | 19 | 7 | 7 | 59—27 | 45 |
| „კრ. სოვ." | 33 | 18 | 7 | 8 | 56—35 | 43 |
| „დინამო" | 33 | 17 | 8 | 8 | 43—31 | 42 |
| „ნეფთჩი" | 33 | 16 | 9 | 8 | 44—24 | 41 |
| ასკ | 33 | 16 | 9 | 8 | 48—31 | 41 |
| „კუზბასი" | 32 | 17 | 4 | 11 | 43—38 | 38 |
| „ტავრია" | 33 | 16 | 5 | 12 | 61—45 | 37 |
| „შინიკი" | 33 | 11 | 12 | 10 | 44—41 | 34 |
| „ტორპედო" | 33 | 12 | 10 | 11 | 31—36 | 34 |
| „სპარტაკი" (ნალ.) | 33 | 9 | 13 | 11 | 32—36 | 31 |
| „მეტალურგი" (ზაპ.) | 33 | 11 | 9 | 13 | 36—41 | 31 |
| „ზვეზდა" | 33 | 11 | 9 | 13 | 46—54 | 31 |
| „ურალ." | 33 | 11 | 8 | 14 | 31—40 | 30 |
| „სპარტაკი" (ორჯ.) | 33 | 13 | 4 | 16 | 38—55 | 30 |
| „პამირი" | 32 | 9 | 11 | 12 | 40—40 | 29 |
| „სპარტაკი" (ივ.-ფრ.) | 34 | 7 | 14 | 13 | 30—37 | 28 |
| „სტროიტ." | 33 | 9 | 10 | 14 | 35—44 | 28 |
| „მეტალურგი" (ლიპ.) | 34 | 8 | 9 | 17 | 30—44 | 25 |
| „ყუბანი" | 33 | 8 | 9 | 16 | 48—66 | 25 |
| „ტექსტილ." | 33 | 5 | 7 | 21 | 31—61 | 17 |

# საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

## I ჯგუფი

● „სულორი" (ვანი) — „განთიადი" (თბილისი) 1:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

● „ამირანი" (ოჩამჩირე) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:1. მსაჯი დ. კვინიკაძე (თბილისი).

მასპინძელთა კარში ბურთი გაიტანა ალ. კიკნაველიძემ.

მატჩი გამოირჩეოდა ორმხრივი უხეშობით. გაფრთხილება, რომელიც უკვე მეორეა წლეულს, მიეცა ოჩამჩირელ გოგოლაშვილს. გაფრთხილება მიიღო ზესტაფონელმა ა. ქათამაძემაც, რომელმაც შემდეგში კვლავ დაარღვია წესრიგი, რისთვისაც იგი მსაჯმა მინდვრიდან გააძევა.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 1:0. მსაჯი მ. ლოსაბერიძე (ქუთაისი).

ბურთი მატჩის მიწურულს გაიტანა კორაშვილმა.

● „ვარძია" (ასპინძა) — „მეშახტე" (ტყიბული) 2:1. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

პირველი ტაიმი მოიგეს სტუმრებმა (თოდიძე), შემდგომში „ვარძია" საფუძვლიანად დაეუფლა უპირატესობას და წამალაშვილისა და ნარიმანიძის მიერ გატანილი გოლების წყალობით გაიმარჯვა.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 4:3. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

გორელთაგან ბურთები გაიტანეს გელდიაშვილმა, ვლაშჩენკომ, მარღიშვილმა (პენალტი) და ქერდიკაშვილმა, ხოლო სტუმართაგან — გაგუამ (2) და ოდიშარიამ.

უწესო საქციელისთვის გაფრთხილებული არიან გორელი ი. ნოზაძე და გეგეჭკორელი ზ. დანელია. მატჩის შემდეგ, მინდვრიდან გასვლისას, გორელმა გ. მარტინენკომ ფეხი გაარტყა „სალხინოს" ერთ-ერთ მოთამაშეს. მარტინენკო ვერ ითამაშებს, სანამ მის საკითხს სპორტტექნიკური კომისია არ განიხილავს.

● ასკ (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 3:3. მსაჯი მ. მიმინოშვილი (თბილისი).

● „დინამო" (სოხუმი) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:1. მსაჯი გ. ძნელაძე (თბილისი).

დინამოელი ცანავას მიერ 37-ე წუთზე გატანილი გოლი 75-ე წუთზე გაქვითა ქობულეთელმა გორგილაძემ.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 6:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

ცხაკაიელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მთელი მატჩის განმავლობაში. 3 ბურთი გაიტანა ქაჩიბაიამ, 2—ჯოჯუამ, ერთიც — ნიკოლაიშვილმა.

● „მადაროელი" (ჭიათურა) — „კოლხეთი" (ხობი) 4:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

ხობელებმა პირველ ტაიმში შეძლეს თავიანთი კარის უხიფათობის დაცვა, მაგრამ შესვენების შემდეგ ვერ გაუძლეს მეტოქის ძლიერ იერიშებს. ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა კაციტაძემ, შემდეგ შელიამ გაიტანა ორი გოლი და მაღრაძემ — ერთი.

● „კოლხეთი" (ხობი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 0:1. მსაჯი ი. ცერცვაძე (სოხუმი).

მასპინძელთა კარში ბურთი გაიტანა დუდაროვმა. „კოლხეთს" შეეძლო თავი დაეღწია დამარცხებისთვის, მაგრამ გვასალიამ პენალტი ვერ გამოიყენა.

უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გაძევებულია ხობელი ფ. გოცირიძე.

● „დინამო" (სოხუმი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:3, მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

გაფრთხილება მიიღეს დინამოელმა რ. კარტოზიამ და თბილისელმა თ. ჭანტურიამ (ეს უკანასკნელი მეორედაა გაფრთხილებული წლეულს).

### გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მადარ." | 28 | 18 | 4 | 6 | 57—17 | 40 |
| ასკ (თბ.) | 29 | 15 | 7 | 7 | 61—39 | 37 |
| „მეტალურგი" (რუს.) | 23 | 15 | 6 | 2 | 49—15 | 36 |
| „დინამო" | 29 | 14 | 7 | 8 | 54—31 | 35 |
| „სალხინო" | 28 | 12 | 11 | 5 | 45—27 | 35 |
| „ეგრისი" | 29 | 14 | 6 | 9 | 47—30 | 34 |
| „ლოკომოტ." | 28 | 12 | 9 | 7 | 42—34 | 33 |
| ფიზკ. ინსტ. | 26 | 13 | 6 | 7 | 49—37 | 32 |
| „მეტალურგი" (ზესტ.) | 28 | 11 | 8 | 9 | 43—38 | 30 |
| „ამირანი" | 28 | 12 | 6 | 10 | 31—30 | 30 |
| „კახეთი" | 29 | 11 | 7 | 11 | 44—46 | 29 |
| „ქართლი" | 28 | 11 | 6 | 11 | 50—47 | 28 |
| „შუქურა" | 29 | 9 | 9 | 11 | 35—31 | 27 |
| „კოლხეთი" | 29 | 8 | 10 | 11 | 35—43 | 26 |
| „მეშახტე" | 29 | 10 | 6 | 13 | 36—49 | 26 |
| „განთიადი" | 29 | 6 | 8 | 15 | 33—52 | 20 |
| „ვარძია" | 29 | 8 | 4 | 17 | 29—49 | 20 |
| „სულორი" | 29 | 6 | 6 | 17 | 28—77 | 18 |
| „ივერია" | 28 | 6 | 4 | 18 | 27—59 | 16 |
| „სპარტაკი" | 29 | 4 | 4 | 21 | 29—73 | 12 |

## II ჯგუფი

### I ზონა

„არაგვი" (დუშეთი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 9:0, „განახლება" (ადიგენი) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:1, „ყინწვისი" (ქარელი) — „მადნეული" (ბოლნისი) 1:1, „კოლმეურნე" (ბორჯომი) — „ცისკარი" (სიღნაღი) 2:0.

### II ზონა

„კოლმეურნე" (გულრიფში) — „იმერეთი" (თერჯოლა) 1:4, „კოლმეურნე" (წულუკიძე) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 1:0. საჩხერის „ჩიხურას" მოგება ჩაეთვალა აბაშის „განთიადთან".

### გათამაშების ცხრილები

### მეორე ჯგუფი

#### I ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დურუჯი" (ყვარელი) | 17 | 12 | 4 | 1 | 54—13 | 28 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 20 | 11 | 2 | 7 | 48—32 | 24 |
| „განთიადი" (კასპი) | 19 | 10 | 3 | 6 | 42—27 | 23 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 18 | 9 | 5 | 4 | 50—36 | 23 |
| „მადნეული" (ბოლნისი) | 19 | 7 | 8 | 4 | 32—31 | 22 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 20 | 9 | 4 | 7 | 35—36 | 22 |
| „განახლება" (ადიგენი) | 20 | 8 | 5 | 7 | 28—31 | 21 |
| „კოლმეურნე" (ბორჯომი) | 19 | 8 | 3 | 8 | 37—40 | 19 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 19 | 7 | 4 | 8 | 46—48 | 18 |
| „ყინწვისი" (ქარელი) | 19 | 5 | 3 | 11 | 32—40 | 13 |
| „სამცხე" (აწყური) | 19 | 3 | 5 | 11 | 29—61 | 11 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 19 | 1 | 2 | 16 | 14—52 | 4 |

#### II ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 17 | 13 | 2 | 2 | 55—20 | 28 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 18 | 9 | 4 | 5 | 39—23 | 22 |
| „კოლმეურნე" (წულუკიძე) | 15 | 9 | 4 | 2 | 29—14 | 22 |
| „ბიზანტი" (ლაითური) | 14 | 7 | 4 | 3 | 32—14 | 18 |
| ხის დამმუშ. კომბ. (სამტრედია) | 18 | 7 | 4 | 7 | 41—44 | 18 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 17 | 5 | 5 | 7 | 31—31 | 15 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 18 | 3 | 9 | 6 | 28—36 | 15 |
| „მზიური" (გალი) | 16 | 4 | 6 | 6 | 26—34 | 14 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 17 | 5 | 3 | 9 | 18—35 | 13 |
| „კოლმეურნე" (გულრიფში) | 16 | 4 | 3 | 9 | 21—39 | 11 |
| „განთიადი" (აბაშა) | 18 | 1 | 6 | 11 | 18—48 | 8 |

### ზონალური გათამაშებების საბოლოო ცხრილები

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „თრიალეთი" (წალკა) | 10 | 5 | 3 | 2 | 24—12 | 13 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 10 | 5 | 2 | 3 | 25—18 | 12 |
| „ფარვანა" (ბოგდანოვკა) | 10 | 4 | 2 | 4 | 15—18 | 10 |
| „ბარისი" (თეთრი წყარო) | 10 | 2 | 5 | 3 | 13—15 | 9 |
| „სპარტაკი" (მარნეული) | 10 | 4 | 1 | 5 | 13—19 | 9 |
| „მეშაქრე" (აგარა) | 10 | 2 | 3 | 5 | 17—25 | 7 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პოლიტექნიკოსი" (საგარეჯო) | 10 | 7 | 2 | 1 | 19—2 | 16 |
| „ქიმიკოსი" (ახმეტა) | 10 | 5 | 5 | 0 | 29—10 | 15 |
| „იორი" (თიანეთი) | 10 | 5 | 3 | 2 | 13—8 | 13 |
| „შალაური" (თელავი) | 10 | 3 | 1 | 6 | 13—23 | 7 |
| „წინანდალი" (თელავი) | 10 | 2 | 2 | 6 | 15—29 | 6 |
| „იორი" (სართიჭალა) | 10 | 1 | 1 | 8 | 8—25 | 3 |

#### III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლესიჭინე" (ჩოხროწყუ) | 8 | 6 | 0 | 2 | 18—7 | 12 |
| „მშენებელი" (ჭიათურა) | 8 | 5 | 1 | 2 | 13—9 | 11 |
| „ქიმიკოსი" (წულუკიძე) | 8 | 4 | 1 | 3 | 18—5 | 9 |
| „ხვანჭკარა" (ამბროლაური) | 8 | 2 | 1 | 5 | 6—17 | 5 |
| „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) | 8 | 1 | 1 | 6 | 8—25 | 3 |

შენიშვნა: I-II ადგილებზე გასული გუნდები, აგრეთვე, თბილისისა და ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პირველობებში გამარჯვებულნი ფინალურ თამაშებს დაიწყებენ 19 ოქტომბრიდან.



# „ფეხბურთის მეფე" ტოვებს სტადიონს

როგორც ჩვენი გაზეთის 5 ოქტომბრის ნომერში ვიტყობინებოდით, ბრაზილიის ჩემპიონატის მორიგი მატჩის — „სანტოსისა" და „პონტე-პრეტის" შეხვედრის დროს სანტოსელი პელე სამუდამოდ დაემშვიდობა ფეხბურთს.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ „ფეხბურთის მეფეს" პელეს, როცა იგი უკანასკნელად ტოვებს სტადიონს.

ასოშიეიტედ პრესისა და საკდესის ტელეფოტო.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## მკვლელობა ბლეკპულში

ჩვენ გვინდა გიამბოთ იმ ჩრდილოვანი მხარეებისა და აღმაშფოთებელი ფაქტების შესახებ, რომლებიც არცთუ იშვიათად ახლავს თან საფეხბურთო ბატალიებს ბრიტანეთის კუნძულზე.

მეორე ლიგის მატჩის დროს ბრისტოლში 137 გულშემატკივარი დააკავეს. სტადიონზე ატეხილი აყალმაყალის გამო ჯარიმა, რომელიც დააკისრეს ხულიგნებს, უფრო დიდი იყო, ვიდრე ოდესმე: 50-დან 100 გირვანქა სტერლინგამდე. ხოლო სამ კაცს გამოუტანეს ასეთი განაჩენი: 3-დან 6 თვემდე პატიმრობა! მესამე ტურის მატჩებში წესრიგის დამრღვევთა და ხულიგანთა რიცხვი 200-ს აღემატებოდა. ამიტომ მზადაა სასჯელის ახალი ნორმები: ჯარიმა 500-დან 1000 გირვანქა სტერლინგამდე და სამწლიანი პატიმრობა! რადგან სტადიონებზე წესრიგის დამრღვევთა უმეტესობა მცირეწლოვანია (14-დან 18 წლამდე), აქვე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მათ მაგიერ ფულადი ჯარიმის გადახდა მშობლებს დაეკისრებათ.

როდესაც საზოგადოება ტაშისკვრით შეეგება ასეთ დროულ და გონივრულ რეფორმას, მოხდა ისეთი შემაძრწუნებელი ამბავი, როგორიც ინგლისის ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს: ტარდებოდა მეორე ლიგის გუნდების „ბლეკპულისა" და „ბოლტონის" შეხვედრა. პირველი ტაიმის დროს ატყდა ჩხუბი გულშემატკივრებს შორის, ეს მაშინ, როცა ყველაფერი მშვიდობიანად მიმდინარეობდა და ინციდენტი თითქოს არ უნდა მომხდარიყო. ამ ჩხუბში გულში დანა ჩასცეს „ბლეკპულის" 18 წლის გულშემატკივარს კევინ ოლსონს. დარტყმა სასიკვდილო აღმოჩნდა. მკვლელი 24 საათის განმავლობაში დააპატიმრა პოლიციამ. ოფიციალური ცნობით, იგი 14 წლისაა და ამიტომ მისი სახელი არ გამოქვეყნდება.

მკვლელობა ბლეკპულში ერთადერთი ინციდენტი როდია ინგლისის პირველობათა შეხვედრებში. პორტსმუტში ერთი მცირეწლოვანი თავს დაესხა პოლიციელს და დაჭრა იგი. იქვე კიდევ წესრიგის ხუთი დამრღვევია დაპატიმრებული. ასეთი კატეგორიის გულშემატკივართა რიცხვი ლიდსში დამრგვალდა — უკვე ათს შეადგენს. ჩხუბი ატყდა „დანდისა" და „სელტიკის" გუნდების მატჩზეც. ხუთი შოტლანდიელი მხოლოდ საკანში დაწყნარდა.

## „სტად დე რეიმსის" აღორძინება

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ „სტად დე რეიმსი" საფრანგეთის ნაკრების ბურჯი და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო. შემდეგ კლუბის საქმეები უკან წავიდა, იგი დიდხანს სულს ღაფავდა II ლიგაში.

წლეულს აღორძინებული „სტად დე რეიმსი" საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერია, თანაც საყურადღებოა, რომ გატანილი გოლების დიდი უმრავლესობა (16 21-დან) არგენტინელ ცენტრალურ თავდამსხმელს ბიანკის ეკუთვნის. ახლა, როცა გოლი ესოდენ ძვირად ფასობს, ბიანკის ყოველ მატჩში საშუალოდ 2 გოლი გააქვს...

## ბოლის იმედები

ლონდონის „არსენალის" ცნობილი ფეხბურთელი ბოლი სერიოზულ ტრავმისგან განიკურნა და ახალი იმედებით განიმსჭვალა. „იმედი მაქვს აღვიდგინო ძველი ფორმა და დავიბრუნო ადგილი ინგლისის ნაკრებში, ოთხი წლის შემდეგ არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში თამაშს ვაპირებ. მაშინ 32 წლისა ვიქნები. არგენტინაში არასოდეს ვყოფილვარ და ახლა იქ თამაშის საშუალება მომეცემა".

## 30 წლის შემდეგ

მიუნხენის „ბაიერნმა" მოინდომა ეყიდა პოლონეთის ნაკრებისა და ვარშავის „ლეგიის" ცნობილი მარცხენა გარემარბი გადოხა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო.

ამასთან დაკავშირებით ფრანგული „იუმანიტე" იუწყება, რომ პოლონელ ფეხბურთელებს აქვთ უცხოეთის კლუბებში გადასვლის უფლება (ზოგი მათგანი უკვე თამაშობს კიდეც საზღვარგარეთ), ოღონდ ერთი პირობით: მას შემდეგ, რაც 30 წელი შეუსრულდებათ, გადოხა კი 28 წლისაა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# ლელოს ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.